ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ნაცარქექია.

ნაცარქექია იმიტომ ერქვა, რომ დღე და ღამ იჯდა ბუხართან და ნაცარს ქექავდა.

მაგრამ დადგა დღე, როცა შეშა გამოილია. შეშა კი იმიტომ გამოილია, რომ ირგვლივ ხეები გაიჩეხა და მოსაჭრელიც აღარაფერი იყო.

ერთ დღეს რძალმა გამოუცხადა - ხომ ხედავ, შეშა აღარ გვაქვს, ეგ დარჩენილი ნაცარიც მალე გამოგელევა. ადექი და წადი სადმე, ხეირი ნახე, როდემდე უნდა გარჩინოთო!

წავალ, ოღონდ ჯერ ერთი ნიჩაბი და ერთი ვედრო მომეციო, - უთხრა ნაცარქექიამ.

მისცა რძალმა, რაც ითხოვა. აიღო ვედრო, ნიჩაბი მხარზე გაიდო და გაუდგა გზას ნაცარქექია.

იარა, იარა და ერთ ადგილას მიადგა, სადაც სიგრძეზე ქვა-ღორღი იყო გაშლილი.

- ძველ ზღაპარში აქ ხომ მდინარე გადიოდაო? - გაიფიქრა ნაცარქექიამ.

მიიხედ-მოიხედა, მაგრამ წყალი არსად ჩანდა.

- წესით, ახლა გაღმა ნაპირთან დევი უნდა მოვიდესო, - ესეც გაიფიქრა და სწორედ ამ დროს, ქვა-ღორღიანი ადგილის იქით უცნობი გამოჩნდა.

დააკვირდა ნაცარქექია და, თითქოს დევი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ცხრა თავი ჰქონდა და ტანადაც ნაცარქექიას სიმაღლისა თუ იქნებოდა.

- ჰეი, შენ, რომელი ხარ მანდო? - გასძახა ნაცარქექიამ.

- რაღა ყოფნაა, როგორც მე ვარო, - საწყალობლად უპასუხა უცნობმა. - ჩემი წინაპრები ცხრათვიანი დევები იყვნენ, მაგრამ კლიმატის ცვლილებამ ასე გადაგვაჯიშა და მალე სულაც გავწყდებითო.

- მერე, რას უდგახარ, ხელი თუ არ გავანძრიეთ, დედამიწაც აღარ იქნებაო, - შეუძახა ნაცარქექიამ. - მოდი აქ და მომეხმარეო.

გადმოვიდა დევყოფილი ქვა-ღორღზე, მოვიდა ნაცარქექიასთან და ჰკითხა - რაში მოგეხმაროო?

ნაცარქექიამ ნიჩაბი მისცა და უთხრა - მიდი და ამოთხარე, არ შეიძლება სადმე წყალი არ იყოსო.

დაიწყო დევყოფილმა თხრა. თხრის, თხრის, მტვრის ბუღი დადგა სულ, მაგრამ წყალი არსად ჩანს.

- მომეცი აქ, არ იცი საქმეო, - უთხრა ნაცარქექიამ. გამოართვა ნიჩაბი, რამდენიმე ადგილას მოსინჯა მიწა და მერე ერთგან დაარტყა - აქ იქნება წყალიო.

მართლაც, დიდი ხანი არ გასულა, მიწას სისველე შეეპარა, მერე კი უცებ პატარა ნაკადული ამორაკრაკდა.

გაიხარეს ორივემ. მერე ამ ნაკადულს გზა გაუკვალეს და ძველი მდინარის კალაპოტისკენ გადაუშვეს.

- წამოდი, ახლა ტყიდან ნერგები გადმოვრგოთ და მდინარის ნაპირზე ქარსაცავი ზოლი გავაშენოთო, - უთხრა ნაცარქექიამ.

წავიდა ნაცარქექია, გაჰყვა უკან დევყოფილი და მიადგნენ ტყეს.

დაუარა ნაცარქექიამ და პატარა ნერგები ფრთხილად ამოიღო მიწიდან, მერე ერთად მოაგროვა და დაბრუნდნენ მდინარესთან.

- ახლა შენ ორმოები გააკეთე, მე კი ადგილებს მოგინიშნავო, - უთხრა დევყოფილს.

დაიწყო დევმა ორმოების ამოთხრა, ნაცარქექია კი თანაბარ ადგილებს უნიშნავდა. მალე მდინარის მთელ გაყოლებაზე პატარა ორმოები გაჩნდა.

- ახლა მე ნერგს ჩავრგავ, შენ კი მიწა მიაყარე. მერე წყალი მოვიტანოთ და მოვრწყოთო, - დაავალა ნაცარქექიამ.

ჩარგავდა ერთ ნერგს ორმოში, დევი მიაყრიდა მიწას, ნაცარქექია კი მიუტკეპნიდა. მალე ნაპირზე უამრავი მწვანე ნერგი ღაღანებდა.

წავიდნენ მერე, ვედრით წყალს ეზიდებოდნენ და რწყავდნენ.

- წამოდი, ჩემს ოჯახში მესტუმრეო, - მიიწვია დევმა ნაცარქექია.

გაჰყვა ნაცარქექია. იარეს, იარეს და დევის სახლს მიადგნენ.

დევის სახლის გვერდით მიწის შავი მასა გველეშაპივით ჩამოწოლილიყო.

- ეს რა არისო? - ჰკითხა ნაცარქექიამ.

- რა და, მეწყერი. ერთი კვირის წინ გრიალითა და ზათქით ჩამოწვა, ყველა შეგვაშინა. კიდევ კარგი, სახლი არ დამენგრა, აქ გაჩერდაო, - უთხრა დევმა.

- ეს იმის ბრალია, რომ ტყე აღარაა, დედამიწაზე სულ უფრო ცხელა და კლიმატი იცვლება. რის დევი ხარ, თუ ტყის ჩეხვას ხელს არ შეუშლიო, - დაამუნათა ნაცარქექიამ.

- რა გავაკეთოო, - ხელები გაშალა დევყოფილმა.

- მე შენ გნიშნავ ტყის მცველად! ჩვენ ახლა მთაზე ხეები დავრგოთ, მერე კი შენ უნდა მიაქციო ყურაღებაო.

ერთი კვირა დარჩა ნაცარქექია დევთან, მთელ ფერდობზე ახალი ტყე გააშენეს. მერე დაემშვიდობა და უთხრა - ერთი წლის მერე მოვალ და აბა, შენ იცი, როგორ ტყეს დამახვედრებო.

დაბრუნდა ნაცარქექია სახლში. რძალმა უთხრა - ხელცარიელი როგორ დაბრუნდიო?

- სამაგიეროდ, ისეთი საქმე გავაკეთე, შენი შვილები და შვილიშვილები კარგად იცხოვრებენო. მე კი ნაცრის ქექვას თავს ვანებებ, მიწას მოვუვლი და ყველაფერში მოგეხმარებითო.

მართლაც, იმ დღიდან გაყოჩაღდა ნაცარქექია. მეურნეობას მიჰყო ხელი და მალე იმ მხარეში მისნაირი ბაღ-ვენახი და ბოსტანი არავის ჰქონდა.

ერთი წლის მერე წავიდა თავისი ნაცნობი დევის სანახავად.

მიადგა მდინარეს და რას ხედავ - მოდის, მოაღელვებს ტალღებს. ნაპირებზე ხეები მწვანედ ღაღანებენ.

- ამ მდინარეში ფეხით როგორ გავალო, - გაიფიქრა ნაცარქექიამ. - ნეტავ, დევი მოადგეს გაღმა ნაპირსო.

ამის გაფიქრება იყო და დაინახა, მეორე ნაპირიდან ვიღაც მოადგა მდინარეს.

- ჰეი, შენ, რომელი ხარ მანდ? გამოდი და გამიყვანე, მდინარეში ფეხის დასველება მეზარებაო, - გასძახა ნაცარქექიამ.

გაღმა მყოფმა გამოსძახა - მე ვარ, როგორ ვერ მიცანიო? ისევ ძველ ზღაპარს დავუბრუნდეთ თუ ახალი გავაგრძელოთო?

ნაცარქექია დააკვირდა და თავისი ნაცნობი დევყოფილი იცნო. მერე ისიც გაახსენდა, რომ არც სადგისი ჰქონდა, არც ჭყინტი ყველი და არც გუდით ნაცარი.

- აღარ გვინდა ძველი ამბები, ახალი გავაგრძელოთ. მაგრამ ამ მდინარეში მართლა ვერ გამოვალო, - უთხრა ნაცარქექიამ.

- არ არის საჭირო. აგერ, ქვემოთ მშვენიერი ხიდია, წამოდი და იქ შევხვდეთო.

დაუყვა ნაცარქექია მდინარის ნაპირს და მართლაც, მალე მტკიცე და ლამაზი ხიდი დაინახა.

ხიდზე შეხვდნენ ერთმანეთს. გადაეხვივნენ, როგორც ძველი ნაცნობები.

- წამოდი, სტუმრად მეწვიეო, - მიიპატიჟა დევყოფილმა.

- ჯერ ტყე მაჩვენე, როგორ მოუარე, მერე კი სახლშიც გესტუმრებიო.

წავიდნენ, აჰყვნენ ფერდობს. ისეთი ტყე იყო, სულ მწვანედ შრიალებდა. შეაქო ნაცარქექიამ დევი, დაბრუნდნენ სახლში და კარგად მოილხინეს.

ამის მერე დამეგობრდნენ დევყოფილი და ნაცარქექია. ერთმანეთსაც ხშირად სტუმრობდნენ და ვაი იმას, ვინც ხის მოჭრას გაბედავდა.

აღარც მეწყრისა ეშინოდათ, აღარც ღვარცოფისა, ცხოვრობდნენ მშვიდად და ბედნიერად.